

# ფოდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ივნისი



Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებულების პროექტის „ევროკავშირ-საქართველოს შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“ ფოდულებში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეცნის მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილ მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატვდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეცნის საელჩოს პოზიციას.

## ავტორები:

ანა აპაშიძე\*

ნანა გოჩიაშვილი\*\*

ანა არგანაშვილ\*\*\*

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სახელით

## რეცენზია:

კორნელი კაკაჩია

## თარგმანი:

ანა გეგეჭვორი



წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდის 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ივნისამდე

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ შედა პროექტის ფაზულებში „ევროკავშირ-საქართველოს შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის მონიტორინგის აზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების აყვარების მიერ გამოხატული შეხედულებები, მისაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ მისამის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

## ხელისუფლების კომპრენისი პავლი ძალადობის მიმართ

### პოლიტიკის დოკუმენტი

## შემაჯახალი მიმოხილვა

აღნიშნული დოკუმენტი მიმოხილავს ბავშვთა სხეულებრივი დასჯის გამოყენების პრიბლემურ პრაქტიკას საქართველოში. აანალიზებს იმ საკანონმდებლო ხარვეზებს, რომელიც სხეულებრივი დასჯის ქმედებას ფაქტობრივად რეაგირების გარეშე ტოვებს ქვეყნაში. ბავშვები, რომლებიც ყოველდღიურად განიცდიან სხეულებრივი დასჯით გამოწვეულ ტკივილსა და ღირსების შელახვას, დასაცავად ვერ მიმართავენ სამართლებრივ და სხვა უფლებადაცვით მექანიზმებს. სხეულებრივი დასჯა დღეს-დღეობით საქართველოში ბავშვთა აღზრდის და დისკიდლინის სწავლების ბუნებრივ ნაწილად ითვლება. ზრდასრულები მას მიიჩნევენ აღზრდის ტრადიციულ მეთოდად, ვინაიდან სახელმწიფოს არცერთი უწყება არ უზრუნველყოფს ბავშვთა პოზიტიური აღზრდას მეთოდების სწავლებას. ბავშვების წამორტყმა, ხელისკვრა, შეჯანჯლარება, იძულებით კვება და დასჯის სხვა ფორმები, დანაშაულად არ განიხილება, შესაბამისად არც შედეგების რეაბილიტაცია ხდება. შედეგები აისახება ბავშვების, როგორც ადამიანის უფლებების სუბიექტების უგულებელყოფასა და საზოგადოებაში ძალადობის კვლავწარმოებაში.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმწიფოს ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს ბავშვთა სხეულებრივი დასჯის პრიბლემის რეგულირების და მისი მინიმალიზების რეკომენდაციებს სთავაზობს.

\* ანა აპაშიძე ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეა. მას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მიერბული აქვს ბაკალავრის ხარისხი, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – სამართლის მაგისტრის ხარისხი.

\*\* ანა არგანაშვილი ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ პროექტების მენეჯერია. ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები შრო- მით თერაპიაში მან იღლას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი სამართალში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

\*\*\* ნანა გოგიაშვილი 2009 წლიდან მუშაობს ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სახელმწიფო სამსახურება და სახალხო დამცველის ოფისში. 2014 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ გუნდის წევრი.

## შესავალი

2013 წლის ნოემბერში, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ფაქტს მნიშვნელოვანი საპროტესტო გამოხმაურება მოჰყვა ბავშვთა დაცვის რეგიონალური ორგანიზაციებისა და “ბავშვთა და ახალგაზრდობის კეთილდღეობის საქართველოს კოალიციის” მხრიდან. შემთხვევაში მიზეზი მარტივი გახლდათ, მოლდოვასთან ამავე პერიოდში ინიცირებულ ხელშეკრულებისგან განსხვავებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამორჩენილი იყო ბავშვთა საკითხი.<sup>1</sup> რთული წარმოსადგენია ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარეშე საქართველოს მომავლის გააზრება, განსაკუთრებით კი ევროკავშირთან თანამშრომლობის ფორმაზში, სადაც ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხები განსაკუთრებით მაღალი სტანდარტითაა წარმოდგენილი. უნდა ვიგულისმებოთ, რომ ბავშვთა საკითხების გამორჩენა, რეალურად ასახავს ბავშვთა პრობლემატიკის ნაკლებ პრიორიტეტულობას საქართველოს მთავრობისათვის. შესაბამისად, სწორედ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ძალისმევით, 2014 წელს, ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგში ბავშვთა უფლებების შესახებ პარაგრაფი გაჩნდა და ამის შემდეგ, ისევ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობითა მხარდაჭერით ამ საკითხებმა მთავრობის ყურადღება მიიპყრო.

სამოქალაქო სექტორის აქტიური ძალისმევა, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში, მიმართულია ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის განსაკუთრებულად მწვავე - ბავშვთა მიმართ ძალადობის - საკითხებისადმი. ასოცირების დღის წესრიგის მე-2 თავის 2.1-ე პარაგრაფის თემას წარმოადგენს „ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვების დასაცავად შესაბამის ზომებზე ყურადღების გამახვილება“: ბავშვთა მიმართ ძალადობის ფართე სპექტრიდან ჩვენ გამოყენებული ბავშვთა სხეულებრივი და სხვა სასტიკი და დამამცირებელი დასჯის ფორმებისგან ბავშვთა დაცვის უფლებას, რომელიც დღემდე სრულად იგნორირებული საკითხია საქართველოში. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების 2016 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის 30-ე პუნქტი სწორედ ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით სამთავრობო სტრუქტურების ღონისძიებებს ეხება, კვლავაც არ ითვალისწინებს ბავშვთა სხეულებრივი დასჯის მოვლენის აღმოსაფხვრელად სპეციალური საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებასა და პრაქტიკის შეცვლას მათი იმპლემენტაციით.

## რას ნიშნავს განვითარების სახულებრივი დასჯება?

ბავშვთა სხეულებრივი დასჯის დეფინიცია ხშირად უცნობია პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის და ამ ცნებას, რომელიც თავისთავში ბავშვთა უფლებების მთელ ფილოსოფიას იტევს, უმნიშვნელო მოვლენად მიიჩნევენ.

სხეულებრივი დასჯის მაგალითებია: ბავშვისთვის წამორტყმა, ყურის აწევა, საჯდომზე დარტყმა და სხვა,<sup>2</sup>

<sup>1</sup> Child Pact: Coalition for Child Protection: Why is child protection missing from the newly signed Association Agreement between the EU and Georgia. Available at (13.06.2016): <http://www.childpact.org/2014/01/10/why-is-child-protection-missing-from-the-newly-signed-association-agreement-between-the-eu-and-georgia/>.

<sup>2</sup> განკეპველა, შეჯანჯლარება, იძულებით კვება ძალის გამოყენებით, ბწევა, თმის მოქაჩვა, ყურის აწევა, არაკომიტეტულ ან ლირსებისშემლახველ პაზში დაყენება და სხვა მსგავსი ქმედებები, რომელიც განხორციელებულია ხელით ან რაიმე საგნით.

ბავშვთა სხეულებრივი დასჯა გულისხმობს, იმგვარი სხეულებრივი ან ფიზიკური სასჯელის გამოყენებას, რომელიც ბავშვს აყენებს ტკივილს ან უქმნის დისკომფორტს, თუმცა ინტენსიონით არის ფიზიკურ ძალადობაზე უფრო მსუბუქი ხასიათის.

### გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის მე-8 ზოგადი კომენტარი

არის ადამიანების ჯგუფი, რომელიც გულუბრყვილოდ კითხულობს: „თუ ბავშვი არ დავსაჯეთ, როგორ უნდა აღვზარდოთ“ ან „ბავშვი ჩემია, რასაც მინდა იმას ვუზიამ“. ორივე შემთხვევაში, სახეზეა ბავშვის, როგორც უსულო საგნის აღქმა, რომელზეც უფროსის ძალაუფლება უპირობოდ ვრცელდება.

განსაკუთრებით პრობლემატურია ბავშვთა დასჯის მიმართ შედარებითი მიდგომა, რომელის მომხრებიც ამბობენ, რომ „მსუბუქი“ სასჯელი ბავშვისთვის სასარგებლოა, მაგრამ უფრო „მძიმე“ ფორმის ძალადობა კი - უნდა აიკრძალოს. ამგვარი მიდგომის დაუსაბუთებლობას ამტკიცებს ის, რომ ძალადობას შორის „მსუბუქი“ და „მძიმე“ ფორმების გამიჯვნა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ ფორმებს შორის ობიექტური ზღვარის დაწესება ვერ მოხდება, ვინაიდან იგი ბავშვის მიერ განცდილ ზიანს შემფასებლის სუბიექტურ შეფასებას ანდობს, რომელიც ზრდასრულია და ბავშვის განცდებს ვერ აღიქვავს. წებისმიერი ე.წ. მსუბუქი ფორმის სხეულებრივი ძალადობა დაუშვებელია ზრდასრულის მიმართ განხორციელების შემთხვევაში, რადგან იგი იზომება არა მიყენებული ტკივილის ან ფიზიკური დაზიანების სიძლიერით, არამედ ღირსების შელახვით, რომელსაც ადამიანი, ამ შემთხვევაში, ზრდასრული განიცდის. მაგ. თავში წამორტყმით. „მსუბუქი“ და „მძიმე“ ძალადობის გამიჯვნის მომხრები ამგვარად აკანონებენ ბავშვების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას, რომელიც რეალურად უფრო მაღლი სტანდარტით უნდა იყოს დაცული, ვიდრე უფროსი, ვინაიდან მას დამოუკიდებლად საკუთარი უფლებების დაცვა არ შეუძლია და ამაზე პასუხისმგებლობას ზრდასრულები ვატარებთ.

სიტყვას „მსუბუქი“ ხშირად შეცდომაში შეჰქავს ამ სფეროს სპეციალისტებიც კი, ვინაიდან ისინი არასწორად მიიჩნევენ რომ:

(1) ე.წ. მსუბუქი ფორმის ძალადობა იწვევს მსუბუქ დამაზიანებელ შედეგებს;

(2) მსუბუქი ფორმის ძალადობა დასაშვებია დისციპლინის დამყარების მიზნით ან გამართლებულია რელიგიური შეხედულებებით (აღზრდის მეთოდი).

ამ ორივე მიდგომის არასწორ ბუნებაზე მიუთითეს გაეროს ბავშვთა კომიტეტის მე-8 ზოგადი კომენტარი,<sup>3</sup> რომლის თანახმადაც, წებისმიერი სხეულებრივი სასჯელი (მიუხედავად ინტენსიონისა) თავისთავად წარმოადგენს ბავშვის ღირსების შელახვასა და დამამცირებელ მოპყრობას, ხოლო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი გამორიცხავს რაიმე გამ-

<sup>3</sup> Committee on the Rights of the Child, forty-second session, Geneva (2007). General Comment #8. The right of the child to protection from corporal punishment and other cruel or degrading forms of punishment. Available at (13.06.2016) <http://www.refworld.org/docid/460bc7772.html>

ამართლებელი მიზეზის არსებობას ბავშვის მიმართ ნებისმიერი ინტენსიონის ძალადობის განხორციელებისას. ბავშვის ღირსების შელახვა წარმოადგენს ბავშვის, როგორც უფლებების სუბიექტის, უფლებების მნიშვნელოვან დარღვევას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს შეკითხვა, რომელსაც ხშირად ბავშვის მიმართ სხეულებრივი სასჯელის ანუ ე.წ. „მსუბუქი“ ფორმის ძალადობის მომხრები სვამენ: „აღზრდის მიზნით რა ძალით ან რა ადგილებში უნდა ვცემოთ ბავშვი, რომ დანაშაულად არ ჩაგვეთვალოს? ეს კითხვა გამოხატავს ბავშვთა უფლებების უხეშ და ცინიკურ დარღვევას - ზრდასრული ადამიანები ბავშვებზე მათივე კეთილდღეობისთვის ვძალადობთ და ამას აღზრდის მიზნებით ვამართლებთ.

## გავმოთ სხეულებრივი დასჯის პრაქტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

სომხეთში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2005-2013 წლებში ჩატარებული კვლევების თანახმად, 2-14 წლამდე ბავშვების 70% განიცდის სხეულებრიდ დასჯას და მძიმე ფსიქოლოგიურ აგრესის აღზრდის მიზნით სახლის გარემოში.<sup>4</sup> სკოლა-პანსიონებში ჩატარებულმა კვლევამ კი გამოავლინა, რომ აღმზრდელები არა მხოლოდ თავად სჯიდნენ (აიძულებდნენ გაკვეთილზე ფეხზე დგომას, არტყამდნენ თითებზე კალამს ა.შ.) ბავშვებს ფიზიკურად, არამედ ბავშვებსაც წაახალისებდნენ რომ ერთმანეთზე ეძალადათ.

სომხეთის კანონმდებლობაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ბავშვთა მიმართ სხეულებრივი დასჯა ცალსახად და ნათლად აკრძალული არ არის.<sup>5</sup>

აზერბაიჯანში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2005-2006 წლებში შეგროვებულმა სტატისტიკამ გამოავლინა, რომ 2-14 ასაკის ბავშვების 76% განიცდიან ძალადობრივი აღზრდის შედეგებს (სხეულებრივი დასჯა და ფსიქოლოგიური ძალადობა) სახლის გარემოში. ყოველი მეხუთე ბავშვი (17%) კი ექვემდებარება სასტიკ ფიზიკურ დასჯას (სახეში გარტყმა ან თავ-ში ჩარტყმა).<sup>6</sup>

აზერბაიჯანში, სომხეთის მსგავსად, ბავშვთა მიმართ სხეულებრივი დასჯა კანონმდებლობით ცალსახად და ნათლად აკრძალული არ არის.<sup>7</sup>

## სამართლებრივი ჩარჩო

ბავშვთა მიმართ სხეულებრივი დასჯის აკრძალვის მოთხოვნაზე მომუშავე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „Global Initiative to End All Corporal Punishment of Children“ 2016 წელს, განაახლა ანგარიში საქართველოს შესახებ აღნიშნულ თემატიკასთან მიმართებაში.<sup>8</sup> ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სხეულებრივი დასჯა საკანონმდებლო დონეზე სრულად და ნათლად აკრძალული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ჩანაწერი ხშირად ითვალისწინებს „ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვას“, ვინაიდან ბავშვების სხეულებრივი დასჯა აღზრდის

<sup>4</sup> Global Initiative to End All Corporal Punishment of Children. Prevalence/attitudinal research in Armenia (last ten years). Available at (15.06.2016): <http://www.endcorporalpunishment.org/research/prevalence-research/armenia.html>

<sup>5</sup> Global Initiative to End All Corporal Punishment of Children. Country report for Armenia. Available at (15.06.2016): <http://www.endcorporalpunishment.org/progress-country-reports/armenia.html>

<sup>6</sup> Global Initiative to End All Corporal Punishment of Children. Prevalence/attitudinal research in Azerbaijan. Available at (15.06.2016) <http://www.endcorporalpunishment.org/research/prevalence-research/azerbaijan.html>

<sup>7</sup> Global Initiative to End All Corporal Punishment of Children. Country report for Azerbaijan. Available at (15.06.2016): <http://www.endcorporalpunishment.org/progress-country-reports/azerbaijan.html>

<sup>8</sup> Corporal Punishment of Children in Georgia (2016), report prepared by the Global Initiative to End All Corporal Punishment of Children. Available at (13.06.2016): <http://endcorporalpunishment.org/assets/pdfs/states-reports/Georgia.pdf>

მიზნით ძალადობად არ მიიჩნევა, აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერის გამოყენება ბავშვების დასჯის მიმართ არ ხდება, თუ ეს უკანასკნელი ძალადობის მძიმე შედეგებს (ძალადობის ნიშნები, სხეულის დაზიანება და სხვ.) არ იწვევს.

## სეულებრივი დასჯის რეგულირება ოჯახში

2014 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც აიკრძალა ბავშვთა აღზრდის ისეთი მეთოდი მშობლების მხრიდან, რომელიც ბავშვს მიაყენებდა ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტყივილს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად:

„დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს“. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი არასაკმარისია სხეულებრივი სასჯელის სრული აკრძალვის მიზნებისათვის შემდეგი გარემოების გამო.

„ტანჯვის“ ცნება, რომელიც გამოყენებულია მუხლის შემადგენლობაში და მაღალი ინტენსიობის ძალადობას უკავშირდება, ბუნებრივად გამორიცხას და რეგულირების მიღმა ტოვებს ბავშვების მიმართ იმგვარი სხეულებრივი ან ლირსების შემლახველი სასჯელის გამოყენებას, რომელიც შესაძლოა ვერ აღწევდეს „ტანჯვის“ ხარისხს, მაგრამ ცალსახად აკრძალულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის სტანდარტით.

ანალოგიური, სხეულებრივი დასჯის აკრძალვის ცხადი და ერთმნიშნელოვანი ჩანაწერის არარსებობის პრობლემა გვხდება ოჯახში ძალადობის მარეგულირებელ სპეციალურ კანონში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში მე-4 მუხლი ოჯახში ძალადობის ნებისმიერ წევრს, მათ შორის, ბავშვს, იცავს ძალადობისგან, თუმცა, ისევე როგორც სამოქალაქო კოდექსის შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობა აქაც მოითხოვს იმ ხარისხის ინტენსიობის მიღწევას, რომელიც არ მოიცავს სხეულებრივი დასჯას და ლირსების შემლახველ მოპყრობას.

2014 წელს ამავე კანონში, სპეციალურად ბავშვთა დაცვის მიზნით შევიდა ცვლილება და ჩაემატა ბავშვთა უგულებელყოფის, როგორც ძალადობის სპეციალური ფორმის დეფინიცია, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, გამოტოვებულია ბავშვის სხეულებრივი დასჯის აკრძალვის მოთხოვნა.

## გავლენა სეულებრივი დასჯა, როგორც დანაშაულად არ ითვლება

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ჩანაწერს: მასში „ცემა“, როგორც დანაშაული ცალკე მუხლადა განსაზღვრული (125-ე მუხლი), რომლის მეორე ნაწილიც უშუალოდ არასრულწლოვნის ცემას ეხება.

აღნიშნული მუხლის ფორმულირება და განმარტება (კომენტარებში და სასამართლო პრაქტიკის მიერ), გამორიცხავს ბავშვის მიმართ განხორციელებული სხეულებრივი დასჯას - როგორც დანაშაულის - კვალიფიკაციას და შესაბამისი სანქციის შეფარდებას შემდეგი გარემოებების გამო: მუხლი განთავსებულია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში, ხოლო თავად მუხლით დაცულ სიკეთეს (დაცვის ობიექტს), სისხლის სამართლის კოდექსის რიგი კომენტატორების თანახმად<sup>9</sup> წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. საერთაშორისო სამართლის თანახმად კი ბავშვის სხეულებრივი დასჯა მიმართულია უწინარესად ბავშვის ლირსებისა, მისი ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის დარღვევაზე შესაბამისად დაცვის ობიექტი არა მხოლოდ ჯანმრთელობა არამედ ბავშვის ლირსება და მორალური ხელშეუხებლობაა, რაც არ არის აუცილებელი გულისხმობების ჯანმრთელობის დაზიანებას.

გარდა ამისა, ცემის მაკვალიფიცირებელ ნიშანს ასევე წარმოადგენს მრავალგზის დარტყმის მიყენება, რის შედეგადაც შეიძლება დარჩეს ნაკან-რი, დაბეჭილობა, სისხლნაჟღენთები.<sup>10</sup>

სასამართლო პრაქტიკა<sup>11</sup> ადასტურებს აღნიშნულ მიდგომას და განმარტავს, რომ:

„ცემა, როგორც ძალადობრივი დანაშაულის ერთ-ერთი სახე, ნიშანს სხვა პირის სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას, რომელიც დაზიარალებულის ფიზიკურ ტკივილს იწვევს. ცემად არ განხილება ერთი დარტყმა“.

აღნიშნული მიდგომა, კვლავ სცილდება ბავშვის მიმართ სხეულებრივი დასჯის საერთაშორისო მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმებს და შეუძლებელს ხდის მის იდენტიფიცირებას აღნიშნული მუხლის ფარგლებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩანაწერი, რომელიც ამბობს, რომ ცემის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია მისი განმახორციელებლის მხრიდან ტკივილის მიყენების სურვილი (ქმედების სუბიექტური მხარე). იმ ვითარებაში, როდესაც ბავშვების სხეულებრივი დასჯა ხმირად მათი „აღზრდისა“ და „დის-ციპლინის“ სწავლების სურვილითაა გამოწვეული, ბუნებრივია, არარეალურს ხდის ამ მუხლის გამოყენებას ბავშვთა სხეულებრივ დასჯასთან მიმართებაში.

## სხეულებრივი დასჯა განვითარების დაგენერაციისა და განვითარების დაცვის დანართები

ამავე ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, სხეულებრივი დასჯა ცალსახად აკრძალული არ არის არც ბავშთა სამზრუნველო დაწესებულებებისა და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების მარეგულირებელ კანონმდებლობაში, ასევე დღის ცენტრების და ბავშვზე ზრუნვის სხვა უწყებების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომლის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს (თუმცა განსხვავებული დეფინიციით) ბავშვთა სხეულებრივ დასჯას:

<sup>9</sup> ლევავეიშვილი, მ., თოდუა, ნ., მამულ-აშვილი, გ. (2011). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, 119.

<sup>10</sup> ლელეგვარეშვილი, მ., თოდუა, ნ., მამულ-აშვილი, გ. (2011). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, 119.

<sup>11</sup> საქმე N010100113272383, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

„სასკოლო დისციპლინა დაცულ უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომელიც ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას“.

თუმცა, არც აღნიშნული მუხლი არ აკონკრეტებს სხეულებრივი დასჯის ფორმებს და ერთმნიშნელოვან აკრძალვას არ შეიცავს ამ მოვლენის მიმართ.

## გავრცელების დასჯის პრაქტიკა საქართველოში

საქართველოში 2013 წლებში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა ეროვნულმა კვლევამ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ<sup>12</sup> გამოავლინა, რომ იმ პირებს შორის, ვისაც ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა გადაუტანია, თითქმის 60% აცხადებს, რომ ფიზიკური დასჯა დასაშვებია.

**ცხრილი 1: ბავშვობაში განცდილი სხეულებრივი დასჯა და დამოკიდებულება ბავშვების სხეულებრივი დასჯის მიმართ<sup>13</sup>**

	ფიზიკური დასჯა დასაშვებია	ფიზიკური დასჯა დაუშვებელია
ხშირად განუცდია ფიზიკური დასჯა	67%	33%
ზოგჯერ განუცდია ფიზიკური დასჯა	58%	42%
არასდროს განუცდია ფიზიკური დასჯა	39%	61%
სულ	45%	55%

„.... როდესაც ბავშვს ვუბრაზდებით, ეს ნორმალურია; ეს ძალადობა არ არის... ზოგჯერ ასევე აუცილებელია ბავშვს მსუბუქად წამოვარტყათ ... ჩვენ გვქონდა შემთხვევა ბათუმში, როდესაც მშობელმა ცემით მოკლა ბავშვი. ეს სასტიკი ცემა იყო; ძალადობად მხოლოდ სასტიკი ცემა ითვლება, ხოლო მსუბუქი დარტყმა ზოგჯერ აუცილებელია...“  
(მასწავლებელი, აჭარა). ციტატა გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევიდან

გაეროს ბავშვთა კვლევის განსაკუთრებით საგულისხმო შედეგია ბავშვთა დაცვისა და განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტების შემგუებლობა სხეულებრივი სასჯელის მიმართ. კერძოდ, როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, სკოლაში მომუშავე პროფესიონალებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, როდესაც ძალადობა გარკვეულ ინტენსიონის აღწევს. მათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა თუ რა სიმძიმე და სიხშირე ჰქონდა ძალადობას. შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ სხეულებრივ სასჯელზე, რომელიც თავისი ინტენსიონით ფიზიკურ ძალადობას არ აღწევს, რეაგირება არ არის საჭირო. ამგვარად ფიქრობს გამოკითხულ მანდატურთა 40% და მასწავლებლების 69%. ზოგიერთი პროფესიონალი კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ძალადობის სიცოცხლისათვის საშიში ფორმებია დაუშვებელი, ხოლო წამორტყმა და დატუქსვა დისციპლინური (შესაბამისად, დასაშვები) სასჯელებია.

<sup>12</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი (2013). ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევა. ხელმისაწვდომია (13.06.2016): [http://unicef.ge/uploads/Unicef\\_VAC\\_GEO\\_Final3\\_02\\_09.pdf](http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf)

<sup>13</sup> ოგივე.

## ანალიზი

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა და პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, ბავშვთა სხეულებრივი დასჯა ჯერაც მოუგვარებელ საკითხს წარმოადგენს საქართველოში. სამწუხაროდ ჯერ არ მომხდარა ამ მოვლენის, როგორც ადამიანის უფლების დარღვევის იდენტიფიცირება. შესაბამისად, მუშაობა მის აღმოსაფხვრელად არ არის დაწყებული არცერთი მიმართულებით.

მოვლენის ფართოდ გავრცელება დასტურდება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ჩატარებული კვლევებით. <sup>14,15</sup> თუმცა, მისი დამაზიანებელი ეფექტი, როგორც ჩანს, საკმარისად თვალსაჩინო არ არის ამ საკითხზე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და პოლიტიკის შემუშავებისათვის.

ამ თვალსაჩინო გულგრილობას, გადაწყვეტილების მიმღების მხრიდან, ერთის მხრივ, საფუძვლად უდევს ინფორმაციის ნაკლებობა ბავშვთა დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტისა და მექნიზმების შესახებ, მეორეს მხრივ კი - საზოგადოებაში არსებული ღრმადგამჯდარი სტერეოტიპები ბავშვების, როგორც „უფროსების საკუთრების“ შესახებ. მშობლები, მასწავლებლები თუ ბავშვების აღზრდაში ჩართული სხვა პირები, რომლებიც არ ფლობენ ცოდნას ბავშვთა პოზიტური აღზრდის მეთოდის შესახებ, ბავშვთა დასჯას განიხილავენ ერთადერთ საშუალებად აღზრდისთვის. ხშირ შემთხვევაში, რელიგიური ინსტიტუტების შეხედულებებიც ამყარებს აზრს, რომ ბავშვის „წვრთნა“ ფიზიკური დასჯის მეშვეობით მისაღებია, ხოლო ბავშვის აზრის მოსმენა და გათვალისწინება კი მის „გაფუჭებად“ მიიჩნევა.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულიად მოუწესრიგებლად ტოვებს ამ მოვლენას, შეუძლებელს ხდის ამ მანკიერ პრაქტიკაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან რეაგირებას. პოლიციელი, რომელიც სოციალურ მუშაქთან ერთად წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე პირველადი რეაგირების რგოლს, ვერ ახერხებს, სურვილის შემთხვევაშიც კი, სხეულებრივი და სხვა ღირსების შემლახველი დასჯის ქმედების აღკვეთას.

პასუხისმგებლობა ამ საკითხის გადაჭრაზე ცალსახად სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკისრება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, მას შემდეგ რაც ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ინიციატივით გაეროს უნივერალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში გაიგზავნა ბავშვთა უფლებების შესახებ კოალიციური ანგარიში, <sup>16</sup> საქართველოს მთავრობას არაერთმა ქვეყანამ მისცა რეკომენდაცია ბავშვთა სხეულებრივი დასჯის აღმოფხვრის კუთხით (ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი). აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს მთავრობამ გაიზიარა და პირობა დადო <sup>17</sup> შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწისა და პოლიტიკის შემუშავების კუთხით, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

<sup>14</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი (2013).  
ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევა. ხელმისაწვდომია (13.06.2016): [http://unicef.ge/uploads/Unicef\\_VAC\\_GEO\\_Final3\\_02\\_09.pdf](http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf)

<sup>15</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი (2008).  
ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. ხელმისაწვდომია (13.06.2016): [http://unicef.ge/uploads/The\\_National\\_Study\\_on\\_Violence\\_against\\_Children\\_in\\_Georgia\\_in\\_Georgian.pdf](http://unicef.ge/uploads/The_National_Study_on_Violence_against_Children_in_Georgia_in_Georgian.pdf)

<sup>16</sup> UPR Submission, Children's Rights, Georgia. Report available at (13.06.2016): <http://phr.ge/assets/uploads/%E1%83%90%0E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/12.pdf>

<sup>17</sup> United Nations General Assembly, Human Rights Council, Thirty First Session, Report of the Working Group on the Universal Periodic Review. 13 January, 2015. Available at (13.06.2016): <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/005/04/PDF/G1600504.pdf?OpenElement>

## დასკვნა

სხეულებრივი დასჯის საკანონმდებლო აქტებით აქტებით ნათლად და ერთმნიშვნელოვნად, წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობას ბავშვთა ძალადობის ყველა ფორმის მინიმალურებისათვის. ვიდრე საქართველოს კანონმდებლობა, ამ მოვლენის იგნორირებით, დასაშვებად მიიჩნევს სხეულებრივ დასჯას, ვერ განხორციელდება ბავშვების დაცვა სხვა, უფრო მძიმე დანაშაულებისგანაც. ძალადობას არ გააჩნია სიმძიმე, რომელიც მისაღები უნდა იყოს კანონმდებლისთვის. ბავშვთა ცემის არცერთი ფორმა და ინტენსიობა დასაშვები არ უნდა იყოს. სისხლის სამართლისა კანონმდებლობაში სხეულებრივი დასჯის ნებისმიერი ფორმისა და ინტენსიობის აკრძალვა აუცილებელია, რათა საზოგდოებაში ფუნდამენტურად შეიცვალოს ტოლერანტული დამოკიდებულება ბავშვთა მიმართ ძალადობის მოვლენისადმი და მისი დამაზიანებელი შედეგებისადმი. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი კი თვალსაჩინოდ უნდა უთითებდეს, სხეულებრივი დასჯის გამოყენების აკრძალვას როგორც ოჯახში ისე, ბავშვზე ზრუნვისა და განათლების სხვა დაწესებულებებში. საკანონმდებლო ცვლილებები გამყარებული უნდა იყოს, შესპასისი სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებით, რომელიც ბავშვების აღზრდას არაძალადობრივი მეთოდებით დაამკვიდრებს საზოგადოებაში.

## რეკომენდაციები

იმისათვის, რათა საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ შეასრულოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები და უზრუნველყოს ბავშვთა დაცვა სხეულებრივი დასჯისა და ძალადობისგან, საჭიროა:

1. დაყოვნებლივ მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა ბავშვთა სხეულებრივი და სხვა ღირსების შემლახველი და სასტიკი სასჯელის ცხადად და ერთმნიშვნელოვნად აკრძალვის შესახებ, შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა შესაბამის ნორმატიულ აქტები.
2. მოხდეს ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელ პროფესიონალთა თემის (სოციალური მუშავი, პოლიციელი, პროკურორი, მოსამართლე, ადვოკატი) და ფართო საზოგადოებისათვის, ასევე ბავშვებისთვის მიზნობრივად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით.
3. დაინერგის ბავშვთა მიმართ სხეულებრივი და სხვა ღირსების შემლახველი სასჯელის შესახებ შეტყობინებისა და რეფერირების, ასევე რეაგირების განახლებული მექანიზმები.
4. დაინერგოს ბავშვთა პოზიტიური აღზრდისა და მეთოდის სწავლების კურსები მშობლებისა და ბავშვზე ზრუნვისა და განათლების სხვა სპეციალისტებისათვის.



